



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ”

(საჩივარი n° 7932/03)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2009 წლის 24 თებერვალი

საბოლოო ვახდა

24/05/2009

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას

საქმეში: ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ,
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ,
შემდეგი შემადგენლობით:
ფრანსუაზ ტულკენსი, თავმჯდომარე,
ირენეუ კაბრალ ბარეტო,
ვლადიმერო ზაგრებელსკი,
დანუტე იოჩიენე,
დრაგოლუბ პოპოვიჩი,
ნონა წოწორია,
ისილ კარაკასი, მოსამართლეები.
და *სალი დოლე, სექციის განმწესრიგებელი,*
განიხილა რა საქმე პალატის 2007 წლის 10 ივლისისა და 2009 წლის 3
თებერვლის სხდომებზე, გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

1. პროცედურა

1. საქმის საფუძველია საჩივარი (n° 7932/03), რომელიც სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარადგინა საქართველოს მოქალაქემ, ბ-ნმა *ნოდარ ჯღარკავამ* („მომჩივანი“), 2003 წლის 19 თებერვალს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე.

2. საქართველოს მთავრობას თანმიმდევრულად იყო წარმოადგენდნენ ქ-ნი *ე. გურეშიძე*, ქ-ნი *ირინე ბართაია* და ბ-ნი *დავით თომაძე*, სახელმწიფო წარმომადგენლები.

3. მომჩივანი ძირითადად ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობდა მის მიმართ საქმის შეწყვეტის გადაწყვეტილება, დაირღვა მისი კონვენციის მე-6 (§1) მუხლით გარანტირებული უფლებები.

4. 2007 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით, პალატამ საჩივარი ნაწილობრივ მისაღებად სცნო და მთავრობას შესთავაზა დამატებითი დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარმოდგენა (რეგლამენტის 51-ე (§1) მუხლი). მთავრობამ 2007 წლის 8 ოქტომბერს უპასუხა (იხ. ქვემოთ §§ 50-52). მომჩივანს დამატებითი მიმოხილვა არ წარმოუდგენია.

ფაქტები

1. საქმის გარემოებები

5. მომჩივანი, ბ-ნი ნოდარ ჯღარკავა, საქართველოს მოქალაქეა, დაბადებულია 1939 წელს და ცხოვრობს საქართველოში, სოფ. *ლუბანდარაოში*.

ა) რაც შეეხება სისხლის სამართლის პროცესს

6. მომჩივანი თავისი რაიონის მდებარე ლიცეუმის დირექტორი და ადგილობრივი გამგეობის წევრი იყო. 1995 წლის 29 ოქტომბერს ის დაიბარეს თბილისში, გენერალურ პროკურატურაში, სადაც ყოველგვარი დაკითხვისა და ახსნა-განმარტების გარეშე დააკავეს და წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. შემდგომ გაირკვა, რომ ის ეჭვმიტანილი იყო მისი არჩევითი თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და ქრთამის გამოძალვის სწავლოდ სახელმწიფო თანამდებობის პირებთან გარკვეული სამსახურის გაწევის საქმეში.

7. სავარაუდოდ, დაპატიმრებისთანავე, მომჩივანი სასტიკად სცემეს და ჩამოართვეს საფულეში ნაპოვნი თანხა. 1995 წლის 30 ივნისს მომჩივნის მიმართ დაიწყო გამოძიება და პროკურატურამ გადაწყვიტა მისი დაპატიმრება. მეორე დღეს, როდესაც მომჩივანი ავად გახდა, კრწანისის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა სასწრაფო დახმარება მხოლოდ 20.000 რუსული რუბლის სანაცვლოდ გამოიძახეს. მომჩივანი გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მომენტში, მომჩივნის საქმის გამომძიებელი გ.გ. ასევე ციხის რამდენიმე თანამშრომელი, ძალით შეიჭრნენ პალატაში, ავადმყოფი ექიმებს ხელიდან გამოგლიჯეს და ჩაიყვანეს საავადმყოფოს ეზოში, სადაც გონების დაკარგვამდე, უმოწყალოდ სცემეს. №5 ციხის მისაღებში გონს მოსული მომჩივანი იმავე გამომძიებელმა ხელახლა სცემა ციხის თანამშრომლის, ა.შ-ს დახმარებით.

8. მომჩივანმა წინასწარ პატიმრობაში შვიდი თვე და რვა დღე გაატარა, ამ ხნის განმავლობაში ის იმყოფებოდა 25 მ² ფართობის საკანში 30 სხვა პატიმართან ერთად, რომელთა უმრავლესობა ტუბერკულოზით იყო დაავადებული. იმის გამო რომ არ იყო საკმარისი რაოდენობის საწოლები, პატიმრებს მორიგეობით ეძინათ. უკიდურესად ნესტიან და ბნელ საკანში ჰაერი თითქმის არ შედიოდა. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ თავად არ იყო რა მწველი, მას უხდებოდა ყოფნა მწველი პატიმრების გარემოცვაში, საკანში, ვენტილაციის გარეშე. უწყლოობის გამო, პატიმრები ვერ ახერხებდნენ საკნის კუთხეში მოწყობილი საპირფარეშო ადგილის დასუფთავებას. აბაზანისა და საპირფარეშოს არარსებობის გამო კი მათი თეთრეული სავსე იყო პარაზიტებით; გარდა ამისა, როგორ კი პატიმრები ჭამას ამთავრებდნენ, მათ თეფშებზე ვირთხები იწყებდნენ სირბილს. იმის გამო, რომ ციხე ვერ უზრუნველყოფდა პატიმართა გამოკვებას, მომჩივანი ოჯახის გამოგზავნილ ამანათებზე იყო დამოკიდებული.

9. მომჩივანი ამტკიცებს, რომ გენერალური პროკურატურის წარმომადგენლების მხრიდან მუდმივად განიცდიდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას. ვინმე გ.ს., პროკურატურის აგენტი, მოათავსეს მის საკანში, მისი ყოველდღიურად დაშინების მიზნით. მომჩივანი ამტკიცებს, რომ მისი დაპატიმრების შემდეგ, რამდენჯერმე, ციხის ბადრაგმა და გ.ს.-მ შუალამისას იგი რამდენჯერმე ჩაიყვანეს მიწისქვეშა დერეფანში, სადაც ნესტიანი საკნები მდებარეობდა. მას განუმარტეს, რომ რეგულარულად უნდა მიეწერა ოჯახისთვის და მოეთხოვა ფულის გამოგზავნა. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი მას მოკვლით დაემუქრნენ. ფული გამოძალვის მიზნით, მომჩივნის წერილები მის ოჯახთან პირადად მიჰქონდა ციხის თანამშრომელს. ამგვარად, მომჩივნის ოჯახი იძულებული გახდა, გაეყიდა ორი კერძო სახლი და ძვირფასი ნივთები, რათა მისთვის აეცილებინა სიკვდილის მუქარა და ციხეში დისკრედიტირება.

10. პატიმრობის ასეთი პირობების გამო, მომჩივნის ჯანმრთელობა სერიოზულად გაუარესდა და მან განსაკუთრებით ცუდად იგრძნო თავი 1996 წლის თებერვალში. საქმეში ფიგურირებს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და სამედიცინო ცნობა, რომლებიც, შესაბამისად, თარიღდება 1996 წლის 6 თებერვლითა და 2000 წლის 11 აპრილით და ადასტურებს, რომ მომჩივანს აწუხებდა გულის იშემიური დაავადება, არტერიული ჰიპერტენზია, ათეროსკლეროზი და გულის უკმარისობა. მომჩივანი ამტკიცებს, რომ მან ციხეში დაკარგა კბილები და იქიდან დაავადებული გულით გამოვიდა, რაც, მისი აზრით, სერიოზულ და ძვირადღირებულ მკურნალობას საჭიროებს.

11. ჯანმრთელობის აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით, თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ („კრწანისი-მთაწმინდის სასამართლო“), 1996 წლის 8 თებერვალს გადაწყვიტა მომჩივნის გირაოთი გათავისუფლება.

12. წინასწარი მოკვლევის ჩატარების შემდეგ, კრწანისი-მთაწმინდის სასამართლომ ოთხჯერ განიხილა მომჩივნის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე და ორჯერ დაუბრუნა პროკურატურას დამატებითი გამოძიების მიზნით.

13. ბოლოს, 1998 წლის 7 მაისის განაჩენით, მომჩივანი პირველი ინსტანციით ნაწილობრივ გამართლდა და დამნაშავედ იქნა ცნობილი სახელმწიფო თანამდებობის პირთათვის ქრთამის მიცემის გამო ფულის გამოძალვაში.

14. 1998 წლის 20 ივლისს, საქმის საკასაციო წესით განხილვის შემდეგ, თბილისის საოლქო სასამართლომ სრულად გააუქმა 1998 წლის 7 მაისის განაჩენი და გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება „დანაშაულის მტკიცებულებათა არარსებობის გამო“ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ.

ბ) მატერიალური, ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურების პროცედურა

15. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ თბილისის საოლქო სასამართლოს 1998 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების შემდეგ, მომჩივანი აღდგენილ იქნა სკოლაში.

16. 2000 წლის 13 ივნისს, მომჩივანმა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოში გენერალური პროკურატურისა და მის მიმართ აღძრული საქმის გამომძიებლის წინააღმდეგ შეიტანა სამოქალაქო სარჩელი.

17. კერძოდ, აცხადებდა რა, რომ საქმის შეწყვეტის შესახებ 1998 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება მის გათავისუფლებას უტოლდებოდა, მომჩივანი მოითხოვდა მისთვის კომპენსაციის გადახდას ყველა ბრალდებასთან დაკავშირებით. მისი მოთხოვნის გასამყარებლად, მომჩივანი, კერძოდ, ირწმუნებოდა:

ა) რომ იგი არაერთგზის, შეუბრალებლად იყო ნაცემი გამომძიებლისა და ციხის თანამშრომლის მიერ; რომ პროკურატურის აგენტი მის მიმართ ავლენდა ძალადობასა და მისი ოჯახისაგან ფულის გამოძალვის მიზნით, ახორციელებდა ფიზიკურ, მორალურ და მატერიალურ ზაწოლას;

ბ) რომ ის დაპატიმრებამდე სარგებლობდა კარგი რეპუტაციით, მას იცნობდნენ, როგორც კეთილსინდისიერ ადამიანს და მის მიმართ წარმოებულმა სისხლისსამართლებრივმა დევნამ მას მიაყენა ტანჯვა და დამცირება;

გ) რომ დაპატიმრებამდე იგი იყო რაიონის სკოლის დირექტორი და გასამრჯელოს სახით იღებდა ყოველთვიურ ხელფასს - 115 ლარს, რომელიც 56 ევროს შეადგენს, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, ის სახლში ატარებდა კერძო გაკვეთილებს, რაც შესაძლებლობას აძლევდა, ყოველთვიურად დამატებით მიეღო 500 ლარი (243 ევრო);

დ) დაპატიმრების გამო, მას არ შეეძლო გაძლოლოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელთაც იგი ფლობდა, რის შედეგადაც მან დაკარგა მნიშვნელოვანი შემოსავალი;

ე) რომ მუქარისა და საპყრობილეში დამამცირებელი მოპყრობისაგან მისი თავის დაღწევის მიზნით, მომჩივნის ოჯახმა გაყიდა ორი კერძო ბინა და ძვირფასი ნივთები, რათა კრიმინალური და ციხის ავტორიტეტებისათვის გადაეხადა დაახლოებით 33.000 აშშ დოლარი;

ვ) რომ პატიმრობის აუტანელმა პირობებმა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მის ჯანმრთელობას (ფილტვების, გულისა და სტომატოლოგიური პრობლემები), რაც საჭიროებდა ხაგრძლივ მკურნალობას, ამის გამო მომჩივანი ითხოვდა 30.000 აშშ დოლარის ოდენობის კომპენსაციას;

ზ) და ბოლოს, მომჩივანი მოითხოვდა მისი დაკავების მომენტში ჩამორთმეული თანხისა და ადვოკატისათვის გადახდილი ჰონორარის ანაზღაურებას.

18. გენერალურ პროკურორს საქმის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია. რაც შეეხება გამომძიებელს, ის ირწმუნებოდა, რომ ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილებით მომჩივანი არ იქნა რეაბილიტირებული, მას ზიანის

ანაზღაურების მოთხოვნის არავითარი უფლება არ ჰქონდა; მისი აზრით არ არსებობდა იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ მომჩივანს საგამომიებო ორგანოთა მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი რაიმე მოქმედების შედეგად მიადგა ის ზიანი, რომლის გამოც მან სარჩელი შეიტანა. ნებისმიერ შემთხვევაში თუ არსებობდა ზიანი, ის უნდა აენაზღაურებინა სახელმწიფოს, მაშასადამე, ფინანსთა სამინისტროს და არა პირადად პროკურორს ან გამომძიებელს.

19. 2001 წლის 9 იანვრის დადგენილებით, ფინანსთა სამინისტრო სასამართლოში მოპასუხე მხარედ იქნა გამოძახებული. სამინისტრო ამტკიცებდა, რომ მომჩივნის სარჩელი სრულიად „საეჭვო და დაუსაბუთებელი“ იყო.

20. 2001 წლის 12 იანვარს, სასამართლომ მომჩივნის მოთხოვნათა დიდი ნაწილი არ დააკმაყოფილა. მან თავდაპირველად აღნიშნა, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 15 მაისს, („ახალი სსსკ“) 28-ე მუხლი არ იცნობს „მტკიცებულებათა არარსებობის“ გამო სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ცნებას, მოტივს, რომელიც 1998 წლის 20 ივლისს საფუძვლად დაედო მომჩივნის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მომჩივანი გამართლებული არ იქნა, მხოლოდ შეწყდა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება და რომ მას სასამართლოსათვის რეაბილიტაციის მოთხოვნით არასდროს მიუმართავს. ვინაიდან არ არსებობს რეაბილიტირებული პირის სასამართლოს მიერ დადგენილი სტატუსი და მომჩივნის მხრიდან სარჩელის წარდგენის შედეგად წარმოებული საქმის ფარგლებში შეუძლებელია გენერალური პროკურატურის ან გამომძიებლის ქმედებებში დანაშაულის ნიშნების არსებობის დადგენა, სასამართლომ დაასკვნა, რომ არ შეიძლება დადგეს მათი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

21. სამაგიეროდ, შრომის კოდექსის 214-ე და 214-1 მუხლებზე დაყრდნობით, სასამართლომ სახელმწიფოს მომჩივნის სასარგებლოდ დააკისრა 4.335 ლარის (2.107 ევროს) გადახდა იმ ხელფასის სახით, რომელიც მას უნდა მიეღო, დაპატიმრებული რომ არ ყოფილიყო (იხ. მომჩივნის სარჩელის „გ“ პუნქტი).

22. 2001 წლის 4 მაისს, მომჩივანმა ძველ და ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებს შორის არსებულ განსხვავებათა შესახებ საკითხის დაზუსტების მოთხოვნით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის მოადგილეს, გამომდინარე იქიდან, რომ მისი საქმის ფაქტებს ადგილი ჰქონდა ამ ორ პერიოდს შორის. ძირითად საკითხს წარმოადგენდა იმის გარკვევა, შეიძლებოდა თუ არა, ძველ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე დაყრდნობით, „მტკიცებულებათა არარსებობის“ გამო სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილება მიჩნეული ყოფილიყო ახალი სსსკ-ის შესაბამისად მომჩივნის „რეაბილიტაციის საფუძვლად“.

23. 2001 წლის 28 მაისის წერილით თავჯდომარის მოადგილემ მოსარჩელეს შემდეგნაირად უპასუხა:

„ძალაში შესული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს „მტკიცებულებათა არარსებობის“ გამო სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ცნებას. თუმცა იმავე კოდექსით, ეს ცნება შეესაბამება 28-ე მუხლის §1 ა) ქვეპუნქტს. ამ მუხლის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ამავე დროს ნიშნავს ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობასა და მის გამართლებას, რადგან თუ ასეთი პირის ბრალეულობა არ დამტკიცდა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.“

24. მომჩივანმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2001 წლის 12 იანვარს. ფინანსთა სამინისტრო, როგორც ერთ-ერთი მოპასუხე მხარე, ირწმუნებოდა, რომ მომჩივნის მიერ შეტანილი სარჩელი იყო ხანდაზმული ახალი სსსკ-ის 219-229 მუხლების შესაბამისად და რომ ამ სარჩელში დაყენებული ყველა მოთხოვნა უნდა უარყოფილიყო. გენერალური პროკურატურაც ასევე ითხოვდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

25. 2002 წლის 15 აპრილს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტა, მთლიანად გაეუქმებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და გამოეტანა ახალი გადაწყვეტილება.

26. სააპელაციო სასამართლომ პირველ რიგში დაადგინა, რომ 1995 წლის 29 ივნისიდან 1998 წლის 20 ივლისამდე, მომჩივნის მიმართ უსაფუძვლოდ წარმოებდა სისხლისსამართლებრივი დევნა. მორალურ ზიანთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანს მისი დაპატიმრებისა და პატიმრობაში დატოვების ფაქტიდან გამომდინარე, რომლიდანაც ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გათავისუფლდა (იხ. §11 ზემოთ), ნამდვილად მიაღწა ზიანი, რაც მას უნდა ანაზღაურებოდა გონივრული თანხით.

27. რაც შეეხება გამომძიებლის მიერ სავარაუდოდ ჩადენილ უკანონო ქმედებებს, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გენერალურ პროკურატურაში ამ ფაქტთან დაკავშირებით წარმოებდა მოკვლევა და რომ 2001 წლის 8 მარტის დადგენილებით, გამომძიებელს ბრალად არ შეერაცხა ის დანაშაულებრივი ქმედება, რომლის ჩადენასაც მას მომჩივანი სდებდა ბრალად. თუმცა მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1005-ე (§3) მუხლის გამოყენებით, ხელისუფლების წარმომადგენლის ქმედებაში ბრალის არსებობის განსაზღვრა არ იყო აუცილებელი იმისთვის, რომ დაზარალებულ პირს მიკუთვნებოდა კომპენსაცია.

28. ამრიგად, დაეყრდნო რა სამოქალაქო სამართლის კოდექსს, საოლქო სასამართლომ მომჩივანს მიაკუთვნა 10.000 ლარი (4.860 ევრო) მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

29. რაც შეეხება მომჩივნის ოჯახის საკუთრებაში არსებული კერძო საცხოვრებელი ბინების გაყიდვის საკითხს, საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი ბინის გაყიდვის პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ მომჩივნის დაპატიმრებამდე და რომ მისი დაკავება ასევე არ წარმოადგენდა მეორე სახლის გაყიდვის არავითარ მიზეზს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის მხრიდან მტკიცებულების სახით გაკეთებული ზეპირი განცხადებები მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების

დამუშავების შედეგად შემოსავლის სახით მიუღებელი სავარაუდო მოგების შესახებ, არ იყო საკმარისად არგუმენტირებული.

30. და ბოლოს, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაპატიმრებამდე, მომჩივანს ხელფასის სახით ყოველთვიური შემოსავალი ჰქონდა 115 ლარი (56 ევრო), ხოლო კერძო გაკვეთილების ჩატარების შედეგად, ასევე ყოველთვიურად, იგი დამატებით იღებდა 500 ლარს (243 ევროს), ვინაიდან მას ეს თანხა არ მიუღია წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დროს, კერძოდ შვიდი თვისა და რვა დღის განმავლობაში, მომჩივანს ამ მხრივ მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურებოდა შრომის კოდექსის 214-ე და 214-1 მუხლების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მომჩივანს მიაკუთვნა 4.335 ლარი (2.107 ევრო).

31. როგორც მომჩივანმა, ასევე ფინანსთა სამინისტრომ, საკასაციო წესით გაასაჩივრეს საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება.

32. ფინანსთა სამინისტრო პირველ რიგში ამტკიცებდა, რომ ახალი სსსკ-ის 227-ე (§4) მუხლის მოთხოვნათა საპირისპიროდ, მომჩივანს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსთვის არ მიუმართავს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანიდან ექვსი თვის ვადაში და მისი სარჩელი ხანდაზმული იყო. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტრო ამტკიცებდა, რომ მომჩივანი არ სარგებლობდა რეაბილიტირებული პირის სტატუსით და რომ მას არ ჰქონდა საფუძველი, ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა სამოქალაქო სამართალწარმოების გზით, ახალი სსსკ-ის 228-ე მუხლის შესაბამისად. და ბოლოს, სამინისტრომ აღნიშნა, რომ მომჩივანს არ წარმოუდგენია მიყენებული მორალური ზიანის რაიმე მტკიცებულება. ფინანსთა სამინისტრომ ასევე გააკრიტიკა ის ფაქტი, რომ სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ ამ მიმართებით სახელმწიფო ბიუჯეტის დოტაცია მხოლოდ 50.000 ლარით (24.304 ევრო) განისაზღვრებოდა, რაც რამდენიმე ათეული რეაბილიტირებული პირის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. ამგვარად, მან საკასაციო სასამართლოს შესთავაზა, მხედველობაში მიეღო ზემოხსენებულ მოსაზრებათა ერთობლიობა მომჩივნის სარჩელის არ დაკმაყოფილების მიზნით.

33. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მან ნამდვილად განიცადა მორალური ზიანი დაუსაბუთებელი სისხლისსამართლებრივი დევნისა და უკანონო პატიმრობის გამო.

34. 2002 წლის 25 სექტემბერს, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დაასკვნა, რომ პირველი ინსტანციით გამოტანილი განაჩენის ნაწილი, რომელიც ეხებოდა მიუღებელი ხელფასის - 4.335 ლარის (2.107 ევროს) გადახდას, სააპელაციო წესით არცერთი მხარის მიერ არ გასაჩივრებულა და შესაბამისად, ძალაში შევიდა. შედეგად, საოლქო სასამართლოს, მიუხედავად იმისა, რომ ისიც იმავე დასკვნამდე მივიდა, რაზეც ქვედა ინსტანცია, საქმის აღნიშნულ ნაწილზე ხელახალი გადაწყვეტილება არ უნდა გამოეტანა. უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღნიშნული მაწილი სრულად აკმაყოფილებდა მომჩივნის მოთხოვნას, რომელიც ახალი სსსკ-ის 228-ე მუხლიდან გამომდინარეობდა.

დანარჩენ ნაწილში უზენაესმა სასამართლომ უარყო სააპელაციო გადაწყვეტილება და საოლქო სასამართლოს უსაყვედურა ახალი სსსკ-ის 227-ე (§4) მუხლის არგამოყენება, რომელიც წარმოადგენდა მოცემულ შემთხვევაში გამოსაყენებელ დებულებას. ამრიგად, უზენაესმა სასამართლომ, ახალი სსსკ-ის 227-ე (§4) მუხლის საფუძველზე, უარყო მომჩივნის მიერ კომპენსაციის მოთხოვნა და დაადგინა შემდეგი:

„(...) მხოლოდ რეაბილიტირებულ პირს აქვს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება და ისიც მისი გამამართლებელი ან რეაბილიტირებულად აღიარების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანიდან ექვსი თვის ვადაში. მაგრამ საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მომჩივანი რეაბილიტირებულ იქნა.“

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებობა

36. ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ძალაში იყო 1995 წლის 15 მაისამდე

მუხლი 359§2. განაჩენის გაუქმება და საქმის შეწყვეტა

„1. საკასაციო წესით განაჩენის გაუქმება და შეცვლა ხდება როდესაც :
პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები არ ადასტურებს მსჯავრდებულისთვის შეფარდებულ ბრალდებას და ამასთანავე, შეუძლებელია დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება.“

აღნიშნული კოდექსი, რომელიც საბჭოთა პერიოდით თარიღდება, არ შეიცავდა რეაბილიტირებულ ან იმ პირთა კომპენსაციის უფლებას, რომელთა წინააღმდეგ საქმე არ აღიძრა.

37. ფაქტების პერიოდში მოქმედი ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

მუხლი 3§2

„2. სისხლის სამართლის საპროცესო კანონში შეტანილ ცვლილებებს შეიძლება მოჰყვეს წინათ გამოტანილი საპროცესო აქტის გაუქმება ან შეცვლა, თუ ამით უმჯობესდება ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის მდგომარეობა.“

მუხლი 28 §§ 1 და 4 - სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე უარის თქმის საფუძველები

„1. სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული უნდა შეწყდეს, თუ:
ა) არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა ან ქმედება, რომლის გამოც აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე;
ბ) ქმედებაში არ არის დანაშაულის შემადგენლობა ან მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილია ბრალის გარეშე;

4. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული გარემოებები გამოვლინდება სასამართლო განხილვის სტადიაზე, სასამართლო ამთავრებს საქმის განხილვას და გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი.“

მუხლი 219 § 1, 2 და 3 - რეაბილიტაციის საფუძვლები

„1. უკანონოდ ან დაუსაბუთებლად მსჯავრდებულს, ... უნდა აღუდგეს უფლებები (რეაბილიტირებულ უნდა იქნეს), თუ დადგინდება მისი უდანაშაულობა ...

2. რეაბილიტაციის საფუძველია გამამართლებელი განაჩენი, აგრეთვე მომკვლევის, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება, სასამართლო გადაწყვეტილება ან დადგენილება საქმის შეწყვეტის შესახებ 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "ბ", ... ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველით...

3. რეაბილიტირებულ უნდა იქნეს აგრეთვე პირი, რომლის მიმართაც აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, წარმოებდა გამოძიება და სასამართლო განხილვა, მას შემდეგ, რაც გამოვლინდა საქმის აღძვრაზე უარის თქმის საფუძველი და საქმე შეწყდა 28-ე მუხლში აღნიშნული ნებისმიერი საფუძველით.“

მუხლი 221. სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლები

„უნდა ანაზღაურდეს, საქმის შედეგის მიუხედავად, ზიანი, რომელიც პირს მიადგა უკანონოდ ან დაუსაბუთებლად დაკავების, დაპატიმრების ანდა სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების შედეგად, აგრეთვე თანამდებობიდან გადაყენების, ჩხრეკის, ამოღების, ქონებაზე ყადაღის დადების, საგამომიებო ექსპერიმენტის, შემოწმების, სამართალწარმოების ორგანოების სხვა უკანონო ან დაუსაბუთებელ მოქმედებათა შედეგად, რომლებმაც ბრალდებულსა თუ სხვა პირს ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი მიაყენა.“

მუხლი 222 § 1 - ბრალეულობის საკითხი რეაბილიტაციის დროს უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას

„1. რეაბილიტაციის დროს სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას ყველა გადასახდელი გადაიხდევინება, ამ ორგანოების თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.“

მუხლი 223 § 1 - უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება

„1. რეაბილიტირებულისათვის უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანი სრული მოცულობით ანაზღაურდება.

2. უნდა ანაზღაურდეს:

ა) ხელფასი ან სხვა შემოსავალი, რომელიც სარეაბილიტაციო პირს მოაკლდა, მათ შორის, ანაცდენი სარგებელი;

ბ) ადვოკატისათვის გადახდილი ჰონორარი შეთანხმებით დაცვის განხორციელებისათვის;

თ) სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები.“

მუხლი 224 § 1 და 2 - უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული ფიზიკური ზიანის ანაზღაურება

„1. თუ დადგინდება, რომ პირს ჯანმრთელობა დაუზიანდა დაკავების, დაპატიმრების, სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების, თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულის ყოფნის წესების დარღვევის ან სამედიცინო დახმარების დროულად გაუწევლობის, ასევე კანონით დადგენილი სასამართლო ექსპერტიზისა და სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარების წესის დარღვევის შედეგად, სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას მთლიანად ანაზღაუროს ეს ზიანი, რისთვისაც:

ა) მიყენებული ზიანისათვის იძლევა ერთდროულ გადასახდელს, რომლის ოდენობასაც სასამართლო განსაზღვრავს დაავადების სიმძიმისა და პროგნოზის გათვალისწინებით, მაგრამ შრომის ანაზღაურების ას მინიმალურ ოდენობამდე;

ბ) ანაზღაურებს მკურნალობის ხარჯებს;

გ) იძლევა ორმაგი ოდენობის პენსიას ინვალიდობის დადგენის შემთხვევაში.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები შეიძლება წაყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, სასჯელის მოხდის პროცესში და მისი მოხდის შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში.“

მუხლი 225 §1, 2 და 4 უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება

„1. პუბლიკაცია სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაციის ყველა შემთხვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში.

2. მოსამართლე, პროკურორი ან გამომძიებელი, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას რეაბილიტაციის შესახებ, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის თაობაზე საწარმოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და შრომით კოლექტივს, სადაც მუშაობდა ან სწავლობდა რეაბილიტირებული.

4. ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება რეაბილიტაციის შესახებ, რეაბილიტირებულს აძლევს მისი უდანაშაულობის დამადასტურებელ დოკუმენტს.“

მუხლი 227§4 - რეაბილიტაციისა და სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საპროცესო წესები

„4. თუ რეაბილიტაციის საფუძველი გამოვლინდა სასამართლოში, მან საქმის შეწყვეტის შესახებ გამამართლებელ განაჩენში ან გადაწყვეტილებაში (დადგენილებაში), რომელსაც რეაბილიტაცია მოსდევს, უნდა ცნოს რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურების უფლება. განაჩენის ან გადაწყვეტილების (დადგენილების) ასლი რეაბილიტირებულს უნდა გადაეცეს ხელზე ან გაეგზავნოს ფოსტით. მას განემარტება, რომ ზიანის ანაზღაურება და უფლებების აღდგენა უნდა მოხდეს გამამართლებელი განაჩენის ან რეაბილიტაციის სხვა აქტის გამოტანის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში. რეაბილიტირებულს უფლება აქვს მიმართოს რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, რომელიც რეაბილიტირებულის განცხადების მიხედვით განსაზღვრავს მისთვის მიყენებული ზიანის ოდენობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს საფინანსო ორგანოებისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების გაანგარიშებას. თუ სასამართლომ საქმე შეწყვიტა მისი საკასაციო ან სარევიზიო წესით განხილვისას, ზიანის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო, რომელმაც განაჩენი გამოიტანა, ოღონდ სხვა შემადგენლობით.“

მუხლი 228§1 - უფლების აღდგენა სასარჩელო წესით

„1. თუ მოქალაქის მოთხოვნა შრომითი, საპენსიო, საბინაო ან სხვა უფლების აღდგენის, ანდა ქონებისა თუ მისი ღირებულების დაბრუნების შესახებ არ დაკმაყოფილებულა, ან თუ მოქალაქე არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს შესაბამისი

მოთხოვნით, სასარჩელო წარმოების წესით, გამამართლებელი განაჩენის ან რეაბილიტაციის შესახებ სხვა აქტის გამოტანის დღიდან 3 წლის განმავლობაში.“

ახალი სსსკ-ის გარდამავალი დებულებები არ შეიცავდა არავითარ მითითებას იმ პროცედურის შესახებ, რომლის გამოყენებაც შეეძლოთ იმ პირებს, რომლებიც კოდექსის ძალაში შესვლამდე იქნენ რეაბილიტირებულნი ან რომელთა წინააღმდეგ საქმე არ აღიძრა.

38. სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის 25 ნოემბერს

მუხლი 1005 § 1 და 3 - სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის

„1. თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი...“

3. რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდადების, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.“

39. ძველი შრომის კოდექსი, რომელიც ძალაში იყო 2006 წლის 25 მაისამდე

მუხლი 207§1

„სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, გათავისუფლების დღიდან მიუღებელი ხელფასი მუშა-მოსამსახურეს ერიცხება უკანონო გათავისუფლების გამო სამსახურში აღდგენის შემდეგ.“

მუხლი 214

„როდესაც იერარქიულად ზემდგომი უწყებები წყვეტენ, რომ დათხოვილი პირი აღდგენილ იქნას სამსახურში, მას უნდა გადაუხადონ მუაქსიმუმ ერთი წლის განმავლობაში მიუღებელი ხელფასი.“

მუხლი 214-1

„ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებული შრომითი დავის განხილვის დროს, დაკავშირებულ, დავის განმხილველმა ორგანოს შეუძლია მიიღოს 207-ე და 214-ე მუხლებით გათვალისწინებული თანხების გარდა, მუშა-მოსამსახურის სასარგებლოდ მისი კუთვნილი თანხის გადახდის ბრძანება.“

40. 1997 წლის 13 ივნისის კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“

აღნიშნული კანონის მე-3, მე-13, 23-ე, 35-ე და 90-ე მუხლების თანახმად, რომლებშიც შეტანილ იქნა ცვლილებები 1999 წლის 5 მარტს, გაუქმდა არსებული

სასამართლო სისტემა და რაიონისა და ქალაქის სასამართლოები 1-ლი ინსტანციის სასამართლოები გახდა. თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოები სააპელაციო სასამართლოებად გარდაიქმნა, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოები ასევე სააპელაციო ინსტანციებად ჩამოყალიბდა, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლო საკასაციო ინსტანცია გახდა. თუმცა ეს უკნასკნელი 1-ლი ინსტანციის მაინც განიხილავდა ზოგიერთ განსაკუთრებული სირთულის საქმეს.

68-2-ე (§3) მუხლის შესაბამისად, რომელშიც შეტანილ იქნა ცვლილებები 1999 წლის 5 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, საკასაციო ინსტანციამ, რომელმაც საკასაციო ინსტანციისთ გამოიტანა საქმის შეწყვეტის გადაწყვეტილება, ფუნქციონირება შეწყვიტა და ის საქმეები, რომლებიც მის წინაშე განსახილველად იყო შესული და რომელთა განხილვაც მას ჯერ არ ჰქონდა დაწყებული, გადაეცა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომელსაც, ახალი განსჯადობის მიხედვით უნდა გადაეწყვიტა აღნიშნული საქმეების განაწილება სხვადასხვა სასამართლოებზე.

41. სასამართლო პრაქტიკა დაუსაბუთებელი სისხლისსამართლებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ

ა) 2001 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება ო. ჭ-შვილის საქმეზე

2000 წლის 28 დეკემბერს ბ-ნი ო. ჭ-შვილი გათავისუფლდა თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ. ედებოდა რა ბრალი ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფაში, მან პატიმრობაში თითქმის ორი წელი გაატარა. უდანაშაულოდ ცნობის შესახებ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, თბილისის საოლქო სასამართლომ გასცა ბრძანება ბ-ნი ო. ჭ-შვილისთვის მიუღებელი ხელფასის სრულად ანაზღაურების შესახებ და მას მიაკუთვნა მორალური ზიანის ანაზღაურება. 2001 წლის 11 სექტემბერს უზენაესმა სასამართლომ შეცვალა აღნიშნული გადაწყვეტილება, შეამცირა რა მორალური ზიანის ანაზღაურების თანხის ოდენობა.

ბ) 2001 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება ნ. ა-შვილის საქმეზე

ისარგებლა რა 2001 წლის 13 აგვისტოს, სსსკ-ის 28-ე მუხლის 1 ა) მუხლის (სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობა) საფუძველზე საქმის შეწყვეტით, ბატონმა ნ. ა-შვილმა მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს, რონელმაც, 2001 წლის 21 დეკემბერს, ის აღადგინა სამსახურში და მიაკუთვნა მორალური ზიანის ანაზღაურება. ბრალი ედებოდა რა სამსახურებრივ გულგრილობაში (სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე (§2) მუხლი), ბატონმა ნ. ა-შვილმა წინასწარ პატიმრობაში ოთხი თვე გაატარა. 2001 წლის 27 ნოემბერს უზენაესმა სასამართლომ, ახალი სსსკ-ის 221-ე და 227-ე მუხლებზე დაყრდნობით, შეცვალა სადავო გადაწყვეტილება, მორალური ზიანის ანაზღაურების თანხის ოდენობის გაზრდით.

გ) 2001 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება ზ. კ-შვილის საქმეზე

2001 წლის 6 აპრილს ბ-ნი ზ. კ-შვილი გათავისუფლებულა. აღნიშნული გათავისუფლების საფუძველზე, 2001 წლის 2 ოქტომბერს, თბილისის საოლქო სასამართლომ გამოსცა ბრძანება მისი სამსახურში აღდგენის, მიუღებელი ხელფასის ანაზღაურებისა და სასამართლო ხარჯებისა და მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა ბ-ნი ზ. კ-შვილისთვის წერილობით ბოდიშის მოხდა და ოფიციალურ უწყებას დაევალა მისი რეაბილიტაციის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება. 2001 წლის 11 დეკემბერს უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ შეცვალა აღნიშნული გადაწყვეტილება, გაზარდა რა სასამართლოს ხარჯების ანაზღაურების თანხის ოდენობა.

დ) 2002 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება ლ. ს-შვილის საქმეზე

2001 წლის 13 აგვისტოს ბ-ნმა ლ. ს-შვილმა ისარგებლა სსსკ-ის 28-ე მუხლის 1 ა) მუხლის (სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობა) საფუძველზე საქმის შეწყვეტით. ბრალი ედებოდა რა მიწის შესახებ დადებული ხელშეკრულების უკანონო რეგისტრაციაში (სისხლის სამართლის კოდექსის 191-ე მუხლი) მისი დაკავება ვერ მოხერხდა, ვინაიდან მიმალვაში იმყოფებოდა. ბ-ნმა ლ. ს-შვილმა მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს, რომელმაც საქმის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე, 2001 წლის 27 დეკემბერს გასცა ბრძანება მომჩივნის რეაბილიტაციის შესახებ ინფორმაციის იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ უწყებაში გამოქვეყნების შესახებ და მას მიაკუთვნა სხვადასხვა თანხა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით. 2002 წლის 5 მარტს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

ე) 2002 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება ნ. გ-იანის საქმეზე

2001 წლის 15 მაისს ბ-ნი ნ. გ-იანი სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო სსსკ-ის 28-ე (§1 „ა“) მუხლის (სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობა) საფუძველზე. ბრალი ედებოდა რა იარაღით ვაჭრობაში, (სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე (§§ 1 და 2) მუხლი), ბ-ნმა გ-იანმა პატიმრობაში რვა თვე და 12 დღე გაატარა. 2002 წლის 6 მარტს გამამართლებელი განაჩენის საფუძველზე, თბილისის საოლქო სასამართლომ გადაწყვიტა, მომჩივანს ანაზღაურებოდა სასამართლო და სამედიცინო ხარჯები და მას ასევე მიაკუთვნა მორალური ზიანის ანაზღაურება. 2002 წლის 15 აპრილს უზენაესმა სასამართლომ შეცვალა აღნიშნული გადაწყვეტილება, შეამცირა რა მორალური ზიანის ანაზღაურების თანხის ოდენობა.

ვ) 2002 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება ლ. ხ-იას საქმეზე

2000 წლის 31 ივლისს ბ-ნი ლ. ხ-ია, რომელსაც ბრალი ედებოდა საბაზრო წესების დარღვევაში ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით (სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე (§1) მუხლი) გათავისუფლებულა. აღნიშნული განაჩენის საფუძველზე, თბილისის საოლქო სასამართლომ მას მიაკუთვნა მორალური ზიანის ანაზღაურება. 2002 წლის 28 მაისს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

სამართალი

I. კონვენციის მე-6 (§1) მუხლის სავარაუდო დარღვევა

42. მომჩივანი თვლის, რომ 2002 წლის 25 სექტემბრის საკასაციო გადაწყვეტილება არ შეიცავს სარჩელის უარყოფის სათანადო მოტივებს და შესაბამისად, წარმოადგენს კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევას, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

“ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის (...) სამართლიანი განხილვის უფლება (...) სასამართლოს მიერ (...) სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას (...)”

ა. მხარეთა არგუმენტები

1. მთავრობის თავდაპირველი მიმოხილვა

43. თავის თავდაპირველ მიმოხილვაში, მთავრობამ შეახსენა, რომ ძველი სსსკ, რომელიც ძალაში იყო 1995 წლის 15 მაისამდე არ ითვალისწინებდა უფლებას კომპენსაციაზე საქმის შეწყვეტის შემთხვევაში.

44. სამაგიეროდ, ახალი სსსკ-ის ძალაში შესვლის შემდეგ, მთავრობის თქმით, მომჩივანს, საქმის შეწყვეტის შესახებ, 1998 წლის 20 ივლისს, მის სასარგებლოდ, „დანაშაულის მტკიცებულებათა არარსებობის გამო“ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე, ჰქონდა მორალური და მატერიალური კომპენსაციის მიღების უფლება. მთავრობის მტკიცებით, აღნიშნული უფლება გამომდინარეობდა ახალი სსსკ-ის 219-228 მუხლებიდან, ისევე როგორც შესაბამისი სასამართლო პრაქტიკიდან და იყო გამოყენებული მომჩივანთან მიმართებაში.

45. თუმცა, მთავრობის თანახმად, ძველი სსსკ-ის საფუძველზე გამოტანილი, საქმის შეწყვეტის გადაწყვეტილება არ იწვევდა მომჩივნის ავტომატურ რეაბილიტაციას, ახალი სსსკ-ის 219-ე მუხლის შესაბამისად. ამისთვის, მომჩივანს

ექვსი თვის ვადაში (ახალი სსსკ-ის 277-ე (§4) მუხლი) უნდა მიემართა საქმის შეწყვეტის გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოსთვის, რომელიც დაადასტურებდა, რომ „დანაშაულის მტკიცებულებათა არარსებობის გამო“ გამომტანილი მისი გადაწყვეტილება, ძველი სსსკ-ის მნიშვნელობით, უთანაბრდებოდა საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას, ახალი სსსკ-ის 28-ე (§1) მუხლის მნიშვნელობით. სწორედ აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის გამო არ მიიღო მისი სარჩელი უზენაესმა სასამართლომ. შესაბამისად, მომჩივანმა არ განახორციელა აუცილებელი პროცედურული მოქმედებები, იმისათვის, რომ ესარგებლა ახალი სსსკ-ით გარანტირებული კომპენსაციის უფლებით.

46. გარდა ამისა, მთავრობა ამტკიცებდა, რომ ახალი სსსკ-ის 277-ე (§4) მუხლით გათვალისწინებული ექვსთვიანი ვადა აითვლებოდა 1999 წლის 15 მაისიდან, ამ კოდექსის ძალაში შესვლის დღიდან

47. 44-46-ე პარაგრაფებში მოყვანილი არგუმენტების გასამყარებლად, მთავრობამ წარმოადგინა იმავე შინაარსის განმარტებითი წერილი, რომელიც 2004 წლის 14 სექტემბრით თარიღდებოდა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს ეკუთვნოდა.

48. რაც შეეხება მიუღებელი ხელფასის საკითხს, მთავრობა ამტკიცებდა, მომჩივნის აღნიშნული მოთხოვნა მისაღებად იქნა ცნობილი, ვინაიდან მომჩივანმა დაიცვა სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელსაც ახალი სსსკ-ის 228-ე (§1) მუხლი ითვალისწინებს.

49. მთავრობა დაასკვნა, რომ კომპენსაციის პროცედურის ფარგლებში, ეროვნულმა სასამართლოებმა ახალი სსსკ-ის შესაბამისი დებულებები მიუკერძოებლად და სამართლიანობის პრინციპის დაცვით გამოიყენეს.

2. მთავრობის დამატებითი მიმოხილვა

50. წინამდებარე საჩივრის მისაღებობასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მთავრობამ წარმოადგინა დამატებითი მიმოხილვა, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ ახალი სსსკ-ის 219-228 მუხლები მომჩივნის მიმართ არ გამოიყენებოდა (იხ. §44 *in fine* ზემოთ), იმის გათვალისწინებით, რომ კოდექსი არ ეხებოდა 1999 წლის 15 მაისამდე, მის ძალაში შესვლამდე, არსებულ სიტუაციას. მთავრობის თანახმად, არც ახალი სსსკ-ის მე-3 (§2) მუხლი გამოიყენებოდა მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან 1999 წლის 15 მაისისთვის, მომჩივნის წინააღმდეგ აღარ მიმდინარეობდა სისხლისსამართლებრივი დევნა. შესაბამისად, მომჩივნის რეაბილიტაცია და მისთვის ზიანის ანაზღაურება ახალი სსსკ-ის შესაბამისად, შეუძლებელი იყო.

51. იმ შემთხვევაშიც კი თუ მოხდებოდა ახალი კოდექსის ყველაზე ლიბერალური ინტერპრეტაცია, იმის მისაჩვენად, რომ მომჩივანს ჰქონდა კომპენსაციის უფლება, მას ამის შესახებ საჩივარი უნდა შეეტანა, აღნიშნული

კოდექსის 227-ე (§4) მუხლის შესაბამისად, 1999 წლის 15 მაისიდან ექვსი თვის ვადაში.

52. რაც შეეხება ევროპული სასამართლოს მოთხოვნას (იხ. §4 ზემოთ) იმ სასამართლო გადაწყვეტილებათა ასლების წარმოდგენის შესახებ, რომლებიც 2002 წლის 25 სექტემბრის საკასაციო გადაწყვეტილების მიღებამდე, ადასტურებდა, რომ პირებმა, რომელთა მდგომარეობაც გაართულა ძველი სსსკ-იდან ახალზე გადასვლამ, შეიტანეს განცალკევებული საჩივარი ძველი და ახალი სსსკ-ის შესაბამისად საქმის შეწყვეტის შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებებს შორის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მთავრობამ ამაზე უპასუხა, რომ არ არსებობდა რეაბილიტაციის არცერთი საქმე, რომელიც გაართულდა ხსენებულ ორ პერიოდს შორის და რომლებშიც ახალი სსსკ რეტროაქტიულად იქნა გამოყენებული. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობის აზრით, იქიდან გამომდინარე, რომ საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებებს საქართველოში არ აქვთ არავითარი სავალდებულო ძალა მომავალში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, ევროპული სასამართლოს მიერ ნაგულისხმევი სასამართლო გადაწყვეტილებების არსებობა მაინც არაფერს შეცვლიდა მოცემულ საქმეში.

2. მომჩივნის არგუმენტები

53. მომჩივანი თვლის, რომ 2002 წლის 25 სექტემბრის საკასაციო გადაწყვეტილება ერთპიროვნულად იქნა გამოტანილი იმ თვალსაზრისით, რომ ახალი სსსკ-ის დებულებები, რომლებიც ზიანის ანაზღაურებას ეხებოდა, მისი მოწინააღმდეგეების, სახელმწიფო ორგანოების, სასარგებლოდ იქნა გამოყენებული. მომჩივნის აზრით, აღნიშნული დებულებების გამოყენებით, მისი რეაბილიტირებული პირის სტატუსი ექვს არ იწვევდა, გამომდინარე იქიდან, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა 1998 წლის 20 ივლისს. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მიერ მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა არ ეყრდნობოდა სათანადო მოტივებს.

ბ. სასამართლოს შეფასება

54. სასამართლო აღნიშნავს, რომ მის წინაშე მიმდინარე სამართალწარმოების გარკვეულ სტადიამდე, მხარეთა შორის დავას არ იწვევდა ის გარემოება, რომ ახალი სსსკ, რომელიც ძალაში 1999 წლის 15 მაისს შევიდა, მომჩივნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ითვალისწინებდა. კერძოდ, 2007 წლის 8 ოქტომბრამდე, მთავრობა ირწმუნებოდა, რომ ძველი სსსკ-ის შესაბამისად, „დანაშაულის მტკიცებულებათა არარსებობის გამო“ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის

გადაწყვეტილება, ახალი სსსკ-ის მიხედვით, მომჩივნის რეაბილიტაციის საფუძველს წარმოადგენდა.

55. თუმცა, 2007 წლის 8 ოქტომბრის დამატებითი მიმოხილვაში მთავრობამ წამოწია საწინააღმდეგო არგუმენტები და განაცხადა, რომ ახალი სსსკ მომჩივნის მიმართ არ გამოიყენებოდა და რომ მას, ამ კოდექსის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა.

56. სასამართლო შეახსენებს, რომ იმისათვის, რათა დადგინდეს, ეროვნული სამართალი სათანადოდ ახდენს თუ არა კონვენციის მე-6 (§1) მუხლით გათვალისწინებული „უფლების“ აღიარებას, მან მხედველობაში უნდა მიიღოს შესაბამისი დებულებების ფორმულირება და ეროვნული სასამართლო ორგანოების მიერ მათი ინტერპრეტაციის მეთოდი (*mutatis mutandis*, *Masson et Van Zon c. Pays-Bas*, arrêt du 28 septembre 1995, série A n° 327-A, §§ 48 et 49 ; *Rolf Gustafson c. Suède*, arrêt du 1^{er} juillet 1997, *Recueil des arrêts et décisions* 1997-IV, §38).

57. ახალი სსსკ-ის გაცნობის შედეგად ჩანს, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული კოდექსი მისი შესაბამისი დებულებების გამოყენებას არ გამოირიცხავდა იმ პირთა მიმართ, რომლებთან მიმართებაშიც საქმის შეწყვეტის გადაწყვეტილება ახალი კოდექსის ამოქმედებამდე იქნა მიღებული.

58. რაც შეეხება ეროვნული სასამართლოების მიერ ამ დებულებების ინტერპრეტაციას, სასამართლო აღნიშნავს, რომ არცერთ მათგანს არ უთქვამს მომჩივნის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი იმ მოტივით, რომ ახალი სსსკ მას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას არ ანიჭებდა. ეროვნული სასამართლოები მომჩივანს მხოლოდ იმას საყვედურობდნენ, რომ მან არ წარადგინა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც, ახალი სსსკ-ის შესაბამისად, ეხებოდა მის რეაბილიტაციას და/ან ეროვნულ სასამართლოებს დროულად არ მიმართა. გარდა ამისა, მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ, თავის 2004 წლის 14 სექტემბრის განმარტებით წერილში დაადასტურა, რომ ახალი სსსკ მოცემულ შემთხვევაში სრულად გამოიყენებოდა და განმარტა, რომ მომჩივანმა ვერ შეძლო, ესარგებლა აღნიშნული კოდექსით გარანტირებული კომპენსაციის უფლებით, რადგან მან ვერ დააკმაყოფილა განახორციელა რიგი აუცილებელი პროცედურული მოთხოვნები.

59. სასამართლო ვერ დაარწმუნდა დამატებითი მიმოხილვის ფარგლებში წარმოდგენილმა მთავრობის არგუმენტებმა, რომლებიც პირველადი მიმოხილვებისაგან განსხვავებით, შესაბამის მტკიცებულებებს არ ეყრდნობოდა. ამასთან, მთავრობამ არ განმარტა ის მიზეზები, რომელთა გამოც მან საწყისი პოზიციის შეცვლა და საპირისპირო მოსაზრების დაცვა გადაწყვიტა.

60. ეროვნული სამართლის შესაბამისი ნორმების ფორმულირების, მომჩივნის საქმის განხილველი ეროვნული სასამართლოებისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ აღნიშნული დებულებების ინტერპრეტაციის გათვალისწინებით, სასამართლომ ასკვნის, რომ ეროვნულ სამართალში, მომჩივნის კომპენსაციის უფლება აღიარებული იყო იმგვარად, რომ კანონი მისი დაცვის შესაძლებლობას ქმნიდა.

61. გადაწყვეტილება, რომლის კონვენციის მე-6 მუხლთან შესაბამისობაც საჩივრდება მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს 2002 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებაა, რომლითაც უზენაესმა სასამართლომ სრულად გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილება მიიღო.

62. სასამართლოს აზრით, წინამდებარე საჩივარში წამოყენებული პრობლემის სათავეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მომჩივნის დავის განხილვა ძველი და ახალი კოდექსების მოქმედების პერიოდებს მოიცავდა. ძველი სსსკ, რომელიც საბჭოთა პერიოდით თარიღდებოდა და მომჩივნის მიმართ აღძრული სისხლისსამართლებრივი დევნის მთელი პროცესის განმავლობაში მოქმედებდა, არ ითვალისწინებდა უსაფუძვლო დაკავების, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შედეგად წარმოქმნილ უფლებებს.

63. 1999 წლის 15 მაისს, საქმის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ძალაში შევიდა ახალი სსსკ. ამ კოდექსის შესაბამისად, გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დარღვეული უფლებების აღდგენისა და, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეაბილიტაციის საფუძველს წარმოადგენს (იხ. 219 მუხლის §§ 1, 2). გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ უნდა შეიცავდეს მითითებას კომპენსაციის უფლებაზე და მისი შეტყობინების დროს, პირს უნდა ეცნობოს, რომ ამ გადაწყვეტილების გამოტანიდან ექვსი თვის ვადაში განცდილი ზიანი უნდა ანაზღაურდეს (მუხლი 227§4).

64. თუმცა, ახალ სსსკ-ში და მის გარდამავალი დებულებებში არაფერია ნათქვამი იმ პროცედურის შესახებ, რომლის საფუძველზეც უნდა ემოქმედათ საქმის შეწყვეტის შესახებ 1999 წლის 15 მაისამდე მიღებული გადაწყვეტილებათა ადრესატებს, იმის გათვალისწინებით, რომ თავისთავად, ასეთი გადაწყვეტილების შეტყობინების მომენტში, მათ არ მიეწოდებოდათ არავითარი განმარტება კომპენსაციის უფლების გამოყენებაზე.

65. სასამართლოს აზრით, აღნიშნული დაზუსტებების არარსებობამ, შესაძლოა, გარკვეულწილად განაპირობა უზენაესი სასამართლოს მიერ დასკვნების გამოტანა, რომლებიც მომჩივანმა გაასაჩივრა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ, რომლის მოვალეობასაც არ წარმოადგენს შესაბამისი კანონმდებლობის აბსტრაქტულად გაკონტროლება, უნდა შეამოწმოს, არღვევს თუ არა კონვენციას უზენაესი სასამართლოს მიერ, მოცემულ შემთხვევაში, მისი გამოყენების მეთოდი (*Hauschildt c. Danemark*, 24 mai 1989, § 45, série A n° 154 *Håkansson et Sturesson c. Suède*, arrêt du 21 février 1990, série A n° 171-A, §46).

66. ამრიგად სასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაესმა სასამართლომ, იმჯელა რა ახალი სსსკ-ის 227-ე (§4) მუხლზე დაყრდნობით, მომჩივანს უსაყვედურა, ერთის მხრივ, რომ მან ვერ დაასაბუთა მისი რეაბილიტირებულად ცნობა, ხოლო მეორეს მხრივ, რომ მას ექვსი თვის ვადაში არ დაუყენებია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

67. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ არ განმარტა ის მიზეზები, რომელთა გამოც მომჩივანი არ იქნა რეაბილიტირებულად ცნობილი, მაშინ როდესაც მის

მიმართ წარმოებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა და რომ ახალი სსსკ-ის 219-ე (§§ 2 და 3) მუხლის შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება საკმარისი იყო მისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. პრაქტიკულად, თავად გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ იმთავითვე წარმოადგენს „რეაბილიტაციის“, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „უფლებების აღდგენის“ „საფუძველს“ (ახალი სსსკ-ის 219-ე მუხლი §1) და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენამდე პირის რეაბილიტირებულად ცნობის შესახებ ცალკე სამართლებრივი პროცედურის წარმოება არ არის აუცილებელი (იხ. წინამდებარე საქმის 41-ე პარაგრაფში მოყვანილი შესაბამისი შიდა კანონმდებლობა). უზენაესმა სასამართლომ არ განმარტა მიზეზები, რომელთა გამოც მან მხოლოდ წინამდებარე საქმის ფარგლებში გადაწყვიტა, განეცალკავებინა „რეაბილიტირებულად ცნობა“ და „უფლებების აღდგენა“, რომლებიც იდენტურ ცნებებს წარმოადგენს, არამარტო სასამართლო პრაქტიკის მიხედვით (*ibid.*), არამედ თავად კანონმდებლის თვალშიც (ახალი სსსკ-ის 219-ე მუხლი §1). იმ პირობებში, როდესაც მომჩივანი საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ანუ რეაბილიტაციას მოითხოვდა, საკასაციო სასამართლომ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ზიანის ანაზღაურების წინაპირობად რეაბილიტირებულად ცნობის აუცილებლობა დაასახელა. ამასთან, მან არც ის დააზუსტა თუ რა მტკიცებულებები უნდა წარედგინა მომჩივანს მისი რეაბილიტაციის ფაქტის დასადასტურებლად. ნებისმიერ შემთხვევაში, ახალი სსსკ საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გარდა სხვა რაიმე განსაკუთრებული მტკიცებულების წარდგენას არ ითხოვდა, იმ მიზნით, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს მიყენებული ზიანის ოდენობა და სახეობა განესაზღვრა. უფრო მეტიც, ამ კოდექსის 221-ე (§1) მუხლის მიხედვით, დაუსაბუთებელი დაკავების ფაქტი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად საკმარის საფუძველს წარმოადგენდა რეაბილიტაციის შესახებ რაიმე გადაწყვეტილების არარსებობის პირობებშიც კი.

68. თუკი დავუშვებთ, რომ უზენაესმა სასამართლომ იგულისხმა, რომ მომჩივანმა არ მიმართა ეროვნულ სასამართლოებს 1998 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების ახალ სსსკ-თან „შესაბამისობაში მოყვანის“ მოთხოვნით, ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული მოტივი მას ნათლად უნდა განემარტა თავის გადაწყვეტილებაში და ის სამართლებრივი ნორმა მიეთითებინა, რომელიც მომჩივანს ამგვარი პროცედურის წარმოების დაწყებას ავალდებულებდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ახალი სსსკ, რომელიც უზენაესმა სასამართლომ წინამდებარე საქმეში რელევანტურად მიიჩნია, არავითარ მსგავს ნორმას არ შეიცავს.

69. ასევე ბუნდოვანია უზენაესი სასამართლოს მსჯელობა იმ ექვსთვიან ვადასთან დაკავშირებით, რასაც ახალი კოდექსის 227-ე (§4) მუხლი ითვალისწინებს. მთავრობის მტკიცებით, აღნიშნული ვადა გამამართლებელი ან რეაბილიტირებულად ცნობის შესახებ სხვა გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან აითვლება, მაგრამ საკასაციო ინსტანცია არ აზუსტებს, მისი შეფასებით, თუ როგორი სამართლებრივი აქტი ითვლებოდა ან შეიძლება ჩათვლილიყო რეაბილიტაციის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებად, რის გამოც შეუძლებელია, დადგინდეს თუ

რომელი გადაწყვეტილების მიღებიდან უნდა დაწყებულიყო ზემოაღნიშნული ვადის ათვლა.

70. ამასთან, უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მიუღებელი ხელფასის ნაწილში პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება „ახალი კოდექსის 228-ე მუხლიდან გამომდინარე მომჩივნის მოთხოვნას სრულად აკმაყოფილებდა.“ თუმცა მას მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ აღნიშნული მუხლი რეაბილიტირებულად ცნობილ პირს ეხება და იმავე გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მომჩივანს მისი რეაბილიტაციის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარუდგენია. ნებისმიერ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ მომჩივნის სარჩელი არ დააკმაყოფილა არა ახალი სსსკ-ის 228-ე მუხლზე დაყრდნობით, არამედ მხოლოდ შრომის კოდექსის (იხ. §21 ზემოთ) შესაბამისად.

71. სასამართლო, თავისი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, შეახსენებს, რომ სამართალწარმოების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, შიდა სასამართლო ინსტანციებმა საკმარისი სიზუსტით უნდა განსაზღვრონ მოტივები, რომლებსაც ისინი თავიანთ გადაწყვეტილებებში ეყრდნობიან. აღნიშნული ვალდებულების ფარგლები, გადაწყვეტილების ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა შეიცვალოს და შეფასდეს თითოეული საქმის ფაქტობრივ გარემოებათა მიხედვით (*García Ruiz c. Espagne* [GC], n° 30544/96, §26, CEDH 1999-I; *Ruiz Torija c. Espagne*, arrêt du 9 décembre 1994, série A n° 303-A, §29; *Higgins et autres c. France*, 19 février 1998, §42, *Recueil* 1998-I). თუკი კონვენციის მე-6 (§1) მუხლი სასამართლოებს ავალდებულებს, დაასაბუთონ მათი გადაწყვეტილება, აღნიშნული არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემის მოთხოვნა (*Van de Hurk c. Pays-Bas*, 19 avril 1994, §61, série A n° 288).

72. მოცემულ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ უზენაესმა სასამართლომ, იძულებული იყო რა გადაწყვეტილება მოქმედ კანონმდებლობაში აუცილებელი დაზუსტებების არარსებობის პირობებში მიეღო, ბუნდოვანი და არასაკმარისად დასაბუთებული დასკვნები გამოიტანა. სასამართლოს შეფასებით, აღნიშნულმა ინსტანციამ ვერ დააკმაყოფილა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნა.

73. ასეთ პირობებში, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ უზენაესმა სასამართლომ ფინანსთა სამინისტროს სასარგებლოდ გადაწყვიტა, არ დაეკმაყოფილებინა მომჩივნის მოთხოვნა, ხოლო, თავის მხრივ, ხსენებულმა სამინისტრომ, საკასაციო საჩივრის ფარგლებში, სასამართლოს ღიად შეახსენა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში რამდენიმე ათეული რეაბილიტირებული პირის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მხოლოდ 24.304 ევრო იყო გამოყოფილი.

74. მოცემულ შემთხვევაში, არც საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად მოჰგენია ნათელი მთავრობის ურთიერთგამომრიცხავ მიმოხილვებს. განმარტავს რა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად შეესაბამებოდა ახალ სსსკ-ს, მთავრობა მიიჩნევს, რომ ამ კოდექსის 227-ე (§4) მუხლის თანახმად, მომჩივანს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 1999 წლის 15 მაისიდან, ანუ ახალი კოდექსის ამოქმედებიდან ექვსი თვის ვადაში უნდა დაეყენებინა. ამრიგად, აუცილებელია

დავასკვნათ, რომ უზენაესმა სასამართლომ ზემოხსენებული დებულების ამგვარი ინტერპრეტაცია არ მოახდინა. ამას გარდა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მთავრობის არგუმენტი სარწმუნო რომ ყოფილიყო, ახალი სსსკ-ის გარდამავალ დებულებებში უნდა აღნიშნულიყო, რომ პირებს, რომელთა მიმართაც სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები ძველი სსსკ-ის შესაბამისად იქნა მიღებული, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენა ახალი კოდექსის ამოქმედებიდან ექვსი თვის ვადაში შეეძლოთ. თუმცა ახალი სსსკ ამგვარ პირობას არ ითვალისწინებდა.

75. ამასთან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2004 წლის 14 სექტემბრის წერილზე დაყრდნობით, მთავრობა ამტკიცებს, რომ ახალი სსსკ-ის 219-ე მუხლის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მომჩივნის რეაბილიტირებულად ცნობას ავტომატურად ვერ გამოიწვევდა და რომ მას ძველი სსსკ-ის 359-ე (§2) მუხლის საფუძველზე მიღებული სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ახალი საპროცესო კოდექსის 28-ე (§1 „ა“) მუხლთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხსენებული გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოსათვის უნდა მიემართა. თუმცა მთავრობა არ მიუთითებს, საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ორგანოს წინაშე რომელი კანონმდებლობის ან სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად უნდა ეწარმოებინა მომჩივანს ამგვარი სამართლებრივი პროცედურა. პირიქით, სასამართლოს მიერ დასმულ შეკითხვაზე, მთავრობამ უპასუხა, რომ ასეთი კანონმდებლობა, სინამდვილეში, არ არსებობდა (იხ. §52). ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო, როგორც სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამომტანი საკასაციო ინსტანცია, რომელმაც მოცემულ შემთხვევაში მომჩივნის სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და რასაც მთავრობა ეყრდნობა, პოსტ-საბჭოთა პერიოდის სასამართლო რეფორმის ფარგლებში, ახალი სსსკ-ის ამოქმედებამდე, გაუქმდა (იხ. §40 ზემოთ).

76. მიუღებელ ხელფასთან დაკავშირებით, მთავრობა ამტკიცებს, რომ აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა გამომდინარე იქიდან, რომ სამი წლის განმავლობაში გადაუხდელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას ახალი სსსკ-ის 228-ე (§1) მუხლი ითვალისწინებდა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ამგვარი მსჯელობა არ ფიგურირებდა არც პირველი ინსტანციის მოსამართლეთა დასკვნებში, რომლებიც აღნიშნულ დებულებას არ დაეყრდნენ და არც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

77. სასამართლოს სურს, ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით გამოთქმული პრეტენზიების განხილვისას, ის ვერ დაეყრდნობა მთავრობის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფო ცდილობს, დაამტკიცოს მიღებული შიდა სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისობა კონვენციის სტანდარტებთან და სასამართლოს მომჩივნის მიერ ეროვნულ ინსტანციებში წარმოებული დავის გადაწყვეტის საკუთარ ხედვას სთავაზობს, რაც განსხვავდება შიდა სასამართლო ორგანოთა მიერ

გამოტანილი დასკვნისაგან. სასამართლოს სურს, შეამოწმოს ის გარემოება თუ რამდენად აკმაყოფილებს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 25 სექტემბერის სადავო გადაწყვეტილება კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროსასამართლო ასკვნის, რომ ასეთ შესაბამისობას მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია (იხ. §72 ზემოთ).

78. ამრიგად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევას.

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

79. კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად,

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

80. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ის მატერიალურ ზიანს 34.000 ევროდ აფასებდა, მორალურ ზიანს - 34.000 ევროდ და ეროვნული სასამართლოების წინაშე მისი ინტერესების დაცვისთვის გაწეულ ხარჯებსა და დანახარჯებს კი 6.800 ევროდ, მაგრამ მისაღებობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მას დადგენილ ვადაში არ წარმოუდგენია არავითარი პრეტენზია განცდილ ზიანთან ან ხარჯებთან და დანახარჯებთან დაკავშირებით.

81. სასამართლო შეახსენებს, რომ ის სამართლიანი დაკმაყოფილების თანხას მიაკუთვნებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც რეგლამენტის მე-60 (§1) მუხლით დადგენილ ვადაში მოხდება პრეტენზიების გამყარება ციფრებითა და აუცილებელი მტკიცებულებებით, იმ შემთხვევაშიც კი თუ მომჩივანი საკუთარ პრეტენზიებს წარმოადგენს პროცესის წინა სტადიაზე (*Fadil Yilmaz c. Turquie*, n° 28171/02, § 26, 21 juillet 2005).

82. აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით, სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეში არ არსებობს სამართლიანი დაკმაყოფილების მიკუთვნების საფუძველი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო :

1. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევას;

2. ერთხმად ადგენს, რომ არ არსებობს სამართლიანი დაკმაყოფილების მიკუთვნების საფუძველი;

შესრულებულია ფრანგულ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2009 წლის 24 თებერვალს, რეგლამენტის 77-ე (წგ 2 და 3) მუხლის შესაბამისად.

სალი დოლე
სექციის განმწესრიგებელი

ფრანსუაზ ტულკენსი
თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე (გ2) მუხლისა და რეგლამენტის 74-ე (გ2) მუხლის შესაბამისად, წინამდებარე გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლე პოპოვიჩის განსხვავებული აზრი.

ფ.ტ.
ს.დ.

მოსამართლე პოპოვიჩის განსხვავებული აზრი

ჩემი დიდი სინანულის მიუხედავად, მე ვერ დავეთანხმები წინამდებარე საქმეში ჩემი კოლეგების უმრავლესობას, იმის გათვალისწინებით, რომ მე ვეთანხმები მთავრობის არგუმენტს, რომლის თანახმად, ეროვნულ დონეზე, მომჩივნის სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე, შეტანილი უნდა ყოფილიყო 1999 წლის 15 მაისიდან ექვსი თვის ვადაში.